„ საერთაშორისო ორგანიზაციების გავლენა საქართველოზე“

საერთაშორისო ორგანიზაციები არის სახელმწიფოთაშორისი, მთავრობათაშორისი ან არასამთავრობო ხასიათის მუდმივი გაერთიანება, რომელიც შეიქმნა საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე საერთაშორისო პრობლემების ერთობლივად გადასაჭრელად. მსგავსი ორგანიზაციებია: გაერო , ნატო, ევროკავშირი, წითელი ჯვარი, ბისეკი და ა.შ.შ.

საერთშორისო ორგანიზაციებს უდიდესი გავლენა აქვთ გლობარულ პოლიტიკასა და ცალკეულ ქვეყნებზე. მათ შორისაა საქართველოც.

ნატო ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია სამხედრო პოლიტიკური ალიანსი, რომელიც 1949 წლის 4 აპრილს შეიქმნა. მისი მიზანია ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესრულება. მისი გავლენა საქართველოზე უდიდესია. არაერთი სამხედრო მისია და წვრთნები ჩატარებულა ნატოსა და საქართველოს თანამეგობრობით. საქართველოსა და ნატოს შორის მეგობრულ კავშირს ავღანეთის მისიაც მოწმობს, რომელსაც საქართველო პირველად 2004 წლის აგვისტოში შეუერთდა.

იმ დროისთვის ქართული ოცეულის ამოცანას ავღანეთის საპრეზიდენტო არჩევნების უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენდა. 2007 წლის ნოემბრიდან ქართულ სამხედრო მისიას შეიარაღებული ძალების ქართველი სამხედრო ექიმი-ქირურგები შეუერთდნენ. არაერთხელ დამდგარა ორგანიზაციის დღის წესრიგში საქართველოს ნატოში გაერთიანების საკითხი ასეთია 2008 წლის ბუქარესტის სამიტი სადაც იხილებოდა საქართველოსთვის სამოქმედო გეგმის მიცემა და მისი ორგანიზაციაში გაწევრიანება, რასაც ხელი მრავალფაქტორთან ერთად, გერმანიის თავშეკავებულობამ შეუშალა. ნატოს პრიორიტეტს ყოველთვის მისი მეგობრებისა და წევრი ქვეყნების დაცვა და უსაფრთხოება წარმოადგენდა.

ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება ,,ევროკავშირი“ 1951 წელს ჩამოყალიბდა. ევროკავშირის ძირითადი პოლიტიკის მიზანია ადამიანების სერვისების კაპიტალისა და საქონლის თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფა ერთიან შიდა ბაზარზე. მათ მოვალეობას მათივე დევიზიც მოწმობს - ,, ერთიანობა მრავალფეროვნებაში“. ევროკავშირისთვის საქართველო ყოველთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული ქვეყანა იყო. საქართველოსა და ევროკავშირის მეგობრული ურთიერთობა 1996 წლის 22 აპრილიდან დაიწყო მაშინ, როდესაც ხელი მოეწერა "პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას“ საქართველოს არაერთი ფინანსურ-ეკონომიკური დახმარება მიუღია ევროკავშირისგან. მას შემდეგ რაც ქვეყანაში კოვიდპანდემიის გამო მძიმე ეკონომიკური კრიზისი შეიქმნა ევროკავშირმა ასობით მილიონი ევრო გამოყო ჩვენ დასახმარებლად. ევროკავშირ-საქართველოს ურთიერთობების გასაღრმავებლად დაიწყო მოლაპარაკებები ასოცირების ხელშეკრულებასთან რაც გულისხმობს ევროკავშირსა და ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებს შორის მოლაპარაკებასა და ხელშეკრულებას მისი არეალი კი პოლიტიკის ვაჭრობის და სოციალური საკითხების განვითარებას მოიცავს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირის პრიორიტეტი მისი წევრი და არაწევრი ქვეყნების ეკონომიკური უსაფრთხოებაა.

საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაცია ,,წითელი ჯვარი/წითელი ნახევარმთვარე“ 1863 წელს შეიქმნა. მსოფლიოს მასშტაბით ორგანიზაცია დაახლოებით 97 მილიონ მოხალისე წევრსა და თანამშრომელს აერთიანებს. აღნიშნული მოძრაობა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად შეიქმნა. 1864 წლის 22 აგვისტოს ჟენევაში ხელი მოეწერა კონვენციას ბრძოლის ველზე დაჭრილთა და დასახიჩრებულთა პირველადი დახმარების თაობაზე, ინიციატორი კი ანრი დიუნანი იყო. აღსანიშნავია რომ წითელი ჯვრის ორგანიზაციას არ ცნობენ ისლამურ ქვეყნებში სწორედ ამიტომ შეიქმნა წითელი ნახევარმთვარის ორგანიზაცია. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება 1918 წელს დაარსდა თუმცა სსრკ-ს ოკუპაციის შემდეგ (1923 წელი) იგი წყვეტს დამოუკიდებლად არსებობას და ხდება საბჭოთა კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის ალიანსის წევრი. დამოუკიდებლობას 1993 წელს იბრუნებს ამ დროისთვსი საქართველოს პარლამენტმა ჟენევის კონვენციების რატიფიკაცია მოახდინა. 1995 წელს კი აღნიშნულმა საზოგადოებამ განაახლა არსებობა როგორც დამოუკიდებელმა ორგანიზაციამ. წითელმა ჯვარმა უდიდესი როლი ითამაშა 2008 წლის ომის დროს ცხელი წერტილებიდან დაჭრილი და დაღუპული ჯარისჯაცების გადმოყვანაში. პარტნიორული ურთიერთობა ჩვენსა და წითელ ჯვარს შორის ურყევია და დღემდე გრძელდება. წითელი ჯვარი აქტიურად არის ჩართული საკუპაციო ძალების მიერ ქართული ტერიტორიიდან გატაცებული მოქალაქეების უსაფრთხო გადმოყვანაში.

„გაერთიანებული ერების“ ორგანიზაცია 1945 წლის 26 ივნისი სან-ფრაცისკოში გამართულ კონფერენციაზე 50 სახელმწიფომ ხელი მოაწერა მის წესდებას, რომელიც ძალაში ამავე წლის 24 ოქტომბერს შევიდა. საქართველო მის წევრ ქვეყანად 1992 წელს გამოცხადა. გაეროს სადამკვირვებლო მისია საქართველოში 1993 წლის აგვიოსტოში გამოცხადდა უშიშროების საბჭოს მიერ. გაეროს მისიის სადამკვირვებლო არეალს მოიცავს: ენგურის, გალის, ზუგდიდისა და კოდორის ხეობის მიდამოები. მათი ძირითადი მისია დევნილთათვის აფხაზეთში დაბრუნების ხელშეწყობაა. გაეროს მისიას ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისი გახსნილი აქვს დეფაქტო აფხაზეთში. ამასთან ერთად მისია ხელს უწყობს ცხელ წერტილებში/კონფლიქტის ზონებში ინფრასტრუქტურის აღდგენას. ჯამში განხორციელდა 31 პროექტი რომელიც ქუჩებისა და ხიდების აღდგენას უკავშირდება. 2008 წლის ომის შემდეგ გაერთიანებული ერების მისიის მანდატი გაფართოვდა ექვს პუნქტიანი შეთანხმების ფარგლებში და მიენიჭა დამატებითი უფლებამოსილებები, რომელიც 2009 წლის 15 თებერვლამდე გაგრძელდა. ამავე წლის 15 ივნისს გაეროს უშიშროების საბჭოში რუსეთმა ვეტო დაადო საქართველოშ გაეროს სადამკვირებლო მისიის მანდატის გაგრძელებას .

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში, უსაფრთხოებაში, ადამიანის უფლებათა დაცვასა და კონფლიქტის ზონებში, მშვიდობის შენარჩუნებაში საერთაშორისო ორგანიზაციების გავლენა უდიდესია.

ავტორი: ანა კოსტანაშვილი